

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა რუსულ ფილოლოგიაში

პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის

საბაკალავრო პროგრამის დასახელება რუსული ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფესორი ნათელა ჭოხონელიძე

პროგრამის მიზანი საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საბაზო ცოდნა რუსული და სლავური ფილოლოგიის დარგში, რაც გულისხმობს მათ მომზადებას სლავური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრი მიიღებს რუსული და სხვა სლავური ენების პრაქტიკულ ცოდნას; შეისწავლის და თავად შეძლებს სლავურ ენათა ლინგვისტური სისტემებში გარკვევას, სლავურ დიალექტური ტექსტების ანალიზს, სპეციალური ლექსიკონების გამოყენებასა და მომზადებას; სლავური ლიტერატურის ისტორიას, ქართულ-რუსული ენობრივ ურთიერთობებს, რუსეთის ისტორიასა და მის ლინგვოკულტურულ ურთიერთობებს ქართველურ სამყაროსთან; სლავურ ენათა შედარებითი გრამატიკის გარდა სპეციალურად შეისწავლიან ბაკალავრები ქართული და რუსული ენების შეპირისპიებით გრამატიკას; ასევე ძირითად ლიტერატურათმცოდნეობით სკოლებს და ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. საბაკალავრო პროგრამა მოამზადებს მოტივირებულ, პასუხისმგებლობის მქონე და სამეცნიერო ეთიკური ნორმების ბაკალავრს.

სწავლების შედეგები 1.1. სლავისტიკის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად სლავისტიკასა და სლავისტიკის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე სლავისტიკის განვითარების მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის კვლევისთვის. 1.2. სლავურ ენათა სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა.

ლინგვისტური კომპარატივისტიკის ამოსავალი დებულებების ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება დაწყებით უნარების დონეზე. 1.3. სლავურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების პრაქტიკული ფლობა; რუსული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა; კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი. ელემენტარული ლინგვისტური ანალიზის ჩვევების გამომუშავება. 1.4. სლავური ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება თანამედროვე სლავური ლიტერატურის ჩათვლით. რუსული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა; სლავური ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარ-ჩვევების გამომუშავება. 1.5. თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება. 1.6. რუსულ-ქართული ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა და ანალიზი. 1.7. ენათა ინტერფერენციის პრობლემებზე და ლექსიკური სესხების პროცესებზე ზოგადი წარმოდგენა; ქართულში რუსიზმებისა და სოვეტიზმების დამკვიდრების შესახებ ძირითადი ინფორმაცია; ქართულში რუსული ლექსიკური ნასესხობების ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციების შესახებ საბაზისო ცოდნა, მათი თვისებრივი მაჩვენებლების გამოყოფა. ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდებზე ზოგადი წარმოდგენა. 1.8. ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ზოგადი ისტორიის საბაზისო ცოდნა. რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენის შექმნა. 1.9. რუსეთის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა; რუსული ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა; რუსეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა. 1.10. საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი (ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის) გაცნობა. პრაქტიკული უნარები 2.1. რუსული და სლავური ენების პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები. 2.2. რუსულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. 2.3. რუსული

ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი. 2.4. საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი. 2.5. სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების რუსულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების რუსულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები. 2.6. პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში. 2.7. ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. ტრანსფერული უნარები 3.1. კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები: სინთეზი და ანალიზი დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარის გამომუშავება შესაბამის დარგობლივ სფეროში. 3.2. სოციალური უნარები ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა. 3.3. სისტემური უნარები არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; სამუშაო დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემისა და მისი ცალკეული სტრუქტურების შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. 3.4. საკომუნიკაციო უნარები დისკუსიაში პროფესიული (ზოგადლინგვისტური და თურქოლოგიური) ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა; სემინარებსა და სარეფერატოდ მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა.

დასაქმების სფერო

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს სწავლების დამთავრების შემდეგ შეუძლია დასაქმდეს რუსულ და სხვა სლავურ ფილოლოგიაში მიღებული ცოდნის გამოყენებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საინფორმაციო საშუალებების, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების, სოციალური და ჰუმანიტარული პროფილის სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორში.

განათლების
გაგრძელების
შესაძლებლობები

ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა განაგრძოს სწავლა მაგისტრატურაში

ძირითადი სპეციალობის სწავლების მეორე სემესტრი
არჩევის ბოლო ვადა
(სემესტრი)

შეფასება:

შეფასება განხორციელდება 100-ბალიანი სისტემით და ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: დასწრება (10 პროცენტი), აქტიურობა სემინარებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე (10 პროცენტი), ორი კოლოკვიუმი (30 პროცენტი), რეფერატი (10 პროცენტი), გამოცდა (40 პროცენტი).

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:
ასოცირებული პროფესორი

სამი სრული პროფესორი, ხუთი

სამეცნიერო-კვლევის მატერიალურ ტექნიკური ბაზა: უნივერსიტეტის და ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული უზრუნველყოფა.
დამატებითი პროგრამა:

I ძირითადი საგნები - 40 კრედიტი

II. არჩევითი საგნები -20 კრედიტი

major/minor პროგრამების კომბინაციები.

major

minor

რუსული ფილოლოგია

ქართული ფილოლოგია

პედაგოგიკა

ფილოსოფია

ჟურნალისტიკა

ფსიქოლოგია

ინფორმატიკა

საერთაშორისო ურთიერთობები

დამატებითი სპეციალობისათვის

სავალდებულო კურსები-40 კრედიტი

თანამედროვე რუსული ენა 1,2,3,4 - 20 კრედიტი, საკონტაქტო თითო საგანზე- 60/65

რუსული ლიტერატურის ისტორია - 20 კრედიტი, საკონტაქტო თითო საგანზე- 60/65

არჩევითი კურსები-20 კრედიტი

თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები 5 კრედიტი, 60/65

რუსული მეტყველების კულტურის საფუძვლები 5 კრედიტი, 45/80

რუსული ენის პრაქტიკული გრამატიკა - 5 კრედიტი, 60/65

თანამედროვე რუსული ლიტერატურული პროცესები - 5 კრედიტი, 60/65

რუსული ლიტერატურათმცოდნეობის მიმდინარეობები - 5 კრედიტი, 45/80

სლავური ლიტერატურის ისტორია (პოლონური, ჩეხური)